**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი**

**ბრძანება №829**

თბილისი „21“ 06 2019წ.

**2019-2020 სასწავლო წელს სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის დამატებითი ვადის დადგენის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 21 ივნისის N825527 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2019-2020 სასწავლო წელს სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის დამატებით ვადად დადგინდეს 2019 წლის 24 ივნისი შემდეგი სკოლებისთვის:

ა) სსიპ აკაკი კივილაძის სახელობის ქალაქ თბილისის №8 საჯარო სკოლა,
ბ) სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლა;
გ) სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლა;
დ) სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის №23 საჯარო სკოლა;
ე) სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის №150 საჯარო სკოლა
ვ) სსიპ ქალაქ თბილისის №169 საჯარო სკოლა;
ზ) სსიპ ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლა;
თ) სსიპ ქალაქ თბილისის №137 საჯარო სკოლა;
ი) სსიპ ქალაქ თბილისის №177 საჯარო სკოლა;
კ) სსიპ ქალაქ თბილისის №138 საჯარო სკოლა
ლ) სსიპ ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლა
მ) სსიპ ქალაქ თბილისის №161 საჯარო სკოლა;
ნ) სსიპ ქალაქ თბილისის №81 საჯარო სკოლა;
ო) სსიპ ქალაქ თბილისის №146 საჯარო სკოლა;
პ) სსიპ ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლა;

ჟ) სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა;
რ) სსიპ ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლა;
ს) სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლა;
ტ) სსიპ ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლა;
უ) სსიპ ქალაქ ქუთაისის №38 საჯარო სკოლა;
ფ) სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №2 საჯარო სკოლა;
ქ) სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №3 საჯარო სკოლა;
ღ) სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა;
ყ) სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა;
შ) სსიპ ქალაქ ზუგდიდის №4 საჯარო სკოლა;
ჩ) სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის №1 საჯარო სკოლა;
ც) სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა;
ძ) სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა
წ) სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა;
ჭ) სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა;
ხ) სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლა;
ჯ) სსიპ ქალაქ ახალციხის №6 საჯარო სკოლა;
ჰ) სსიპ ქალაქ მარნეულის №6 საჯარო სკოლა;
ჰ[1]) სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა;
ჰ[2]) სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა;
ჰ[3]) სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნიქოზის საჯარო სკოლა;
ჰ[4]) სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ერტისის საჯარო სკოლა;
ჰ[5]) სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლა;
ჰ[6]) სსიპ ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლა.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ირინე აბულაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი